ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6507398

ნომერი: AR1968726

თარიღი : 29.05.2023

გაცემის თარიღი : 13.06.2023

გაცნობის თარიღი : 13.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქუჩა, N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან დევაძე პ/ნ 01030015659
- ტყეკულტურის III შესახვევი ბინა #7

ორგანიზაცია:
- შპს სოლუმ დეველოპმენტი კოდი: 405148086

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 29 მაისს №AR1968726 განცხადებით მომართა ლევან დევაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ზურა მირაქიშვილის ქუჩა №29-ში მდებარე №01.11.10.004.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 9 მარტიდან 2023 წლის 9 აპრილის ჩათვლით.

სამსახურის 2023 წლის 25 მაისის №6477503 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების 206.8 კვ.მ. ფართობი. აგრეთვე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 5102.26 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 149.28 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1081.65 კვ.მ., საერთო ფართობად - 8310.18 კვ.მ. და შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2023 წლის 12 მაისის №AR1965957 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.

წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია ისევ სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 ბრძანებაში (სამსახურის 2023 წლის 25 მაისის №6477503 ბრძანების გათვალისწინებით), ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ განმცხადებელს ამჯერად სურს, +21.50 ნიშნულის გეგმაზე გამოტანილ შტამპზე №50 ბინის საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების ჯამური მაჩვენებლის გასწორება, ხოლო +30.50 ნიშნულის გეგმაზე საზაფხულო ფართობებზე შესაბამისი მაჩვენებლების დაფიქსირება და შესაბამისად, აღნიშნული ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ +21.50 ნიშნულის გეგმაზე გამოტანილ შტამპზე ხდება №50 ბინის საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების ჯამური მაჩვენებლების გასწორება, ხოლო +30.50 ნიშნულის გეგმაზე საზაფხულო ფართობებზე შესაბამისი მაჩვენებლების დაფიქსირება. შესაბამისად, +21.50 და +30.50 ნიშნულების გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ ამავე ნიშნულების გეგმებზე ფართობების დაზუსტება და ტექნიკური შეცდომების გასწორება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ხარვეზები გასწორება არ იწვევს შეთანხმებული საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაზუსტებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 ბრძანებაში და ბრძანებით შეთანხმებული +21.50 და +30.50 ნიშნულების გეგმები (სამსახურის 2023 წლის 25 მაისის №6477503 ბრძანების გათვალისწინებით) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 9 მარტის №6357925 და 2023 წლის 25 მაისის №6477503 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.